საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბერძენიშვილი ელგუჯა ისიდორეს ძე

ბერძენიშვილი ელგუჯა ისიდორეს ძე (25. II 1927, თბილისი,–1. I. 2019, იქვე), ფერმწერი და გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1966).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1956). სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობდა 1956-იდან. ბ-ის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დახვეწილი ფერწერულობა, შინაგანი სიღრმე, კომპოზიციის გრძნობა, ნახატის დიდი კულტურა, დეკორატიულობა.

ბ. 50-იანი წწ. იმ თაობის წარმომადგენელია, რ-მაც ყურადღება გაამახვილა ფერწერის სპეციფ. მხატვრულ საშუალებებზე. ბ. იყო მრავალმხრივი მხატვარი მუშაობდა როგორც დაზგურ, ისე მონუმ. ფერწერაში, აფორმებდა წიგნებს. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: მ. ბაქრაძის პორტრეტი (1956, მხატვრის საკუთრება), „აბესალომ და ეთერი“ (1960, ზ. ფალიაშვილის სახლმუზეუმი, თბილისი), დეკორ. პანო (1967, ბიჭვინთა), „შემოდგომა“ (1985, ოკამი), „დედობა“, „მედეა“ (1986, თბილისი); ილუსტრაციები კ. გამსახრუდიას რომანისათვის „დიდოსტატის მარჯვენა“ (1972); აფიშა უ. შექსპირის პიესისათვის „რიჩარდ III“ (1957, თანაავტორებთან ერთად) და სხვ.

ავტორია წიგნისა „ხასანბეგურა“ (1988).